ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5000052316
08/01/2016

5000052316

შპს "ძველი ქუჩა"-ს დირექტორს ბნ გიორგი კურცხალიას

(თბილისი ლესელიძის ქ. №29)

ბატონო გიორგი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2015 წლის 25 ნოემბრის რეგისტრაციის N1008752915) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000048516 დასკვნას.
დანართი:
ექსპერტის დასკვნა 23 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162 ჭავჭავაძის გამზ №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600 მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600, Georgia
ბათუმი 6000 პუშკინის ქ. №145
145 Pushkini str. Batumi, Georgia

000048516

ექსპერტის დასკვნა № 000048516

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მოადგილის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამკვეთი :

ორგანიზაცია: შპს ძველი ქუჩა

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი ლესელიძის ქ. №29

სახელი და გვარი: გიორგი კურცხალია

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 28 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, დაგვიდგინოთ კ. აფხაზის (ყოფილი ლესელიძის) ქ. #29-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა და რამდენად რენტაბელურია მასზე გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების ჩატარება, შენობის მოქმედ სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

შემოსვლის თარიღი: 25.11.2015წ.

გასვლის თარიღი: 08.01.2016წ

დასკვნა

ქ. თბილისში კოტე აფხაზის ქ. #29-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. მზიდ კედლებში განვითარებული დეფორმაციები მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, შეესაბამება ძირითადად III-IV ხარისხს (საშუალო-მძიმე კონსტრუქციული დაზიანება) აღნიშნული დაზიანებები საფრთხის შემცველია. კაპიტალურობის ჯგუფის მიხედვით ასეთი ტიპის შენობები მიეკუთვნება II კლასს და მათი გამოსადეგობის ვადა შეადგენს 125 წელს, რომელიც პრაქტიკულად ამოწურულია. შენობაზე განვითარებული დაზიანებები გამოწვეულია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით, ასაკობრივი ცვეთით და საძირკვლების არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით. შენობა იმყოფება დაძაბულ დეფორმირებულ წონასწორობაში და სეისმური ძვრის შემთხვევაში მოსალოდნელია დეფორმაციების პროგრესირება და ცალკეული მონაკვეთების ჩამონგრევა. არარეგულარობიდან გამომდინარე შენობის სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია. მისი შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის აუცილებელია მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, საძირკვლებისა და კედლების გაძლიერება გარსაკრში ჩასმით, ხისა და მონოლითური ბეტონის სართულშუა გადახურვების სრული შეცვლა, გადაგუმარება და შენობის სეისმომედეგობის გარკვეული დონით გაზრდა დამატებითი კედლებისა და რკინაბეტონის ჩარჩოების მოწყობით, რაც რენტაბელობიდან გამომდინარე არამიზანშეწონილია. შენობის ფიზიკური და მორალური ცვეთა აღემატება 70%-ს. მისი აღდგენა-გაძლიერება მიზანშეწონილი არ არის და უნდა განხორციელდეს მისი სრული დემონტაჟი, შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

000048516

ექსპერტის დასკვნა № 000048516

ავთანდილ რომელაშვილი

გამოკვლევა

2015 წლის 30 დეკემბერს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში კოტე აფხაზის ქ. #29-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

ქ. თბილისში კოტე აფხაზის ქ. #29-ში მდებარე შენობა, სარდაფით აშენებულია დაახლოებით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ფასადის მხრიდან შენობა ორსართულიანია. მოგვიანებით უკანა და ტორსული ფასადის მხრიდან შენობაზე განხორციელებულია სამსართულიანი ნაწილის მიშენება. აღნიშნულ მონაკვეთში შენობას გააჩნია ატრიუმი. გეგმაში ჩაკეტილი კონტურის რთული გეომეტრიული ფორმისაა. გაბარიტული ზომებით დაახლოებით 30,0x34,0 მ. სართულის სიმაღლე 4,0 მ-ია. სართულშუა გადახურვის დონეზე შენობას სავარაუდოდ არ გააჩნია ანტისეისმური რკინაბეტონის სარტყელი. შენობის ნაწილები ერთმანეთისაგან სეისმური ნაკერით არ არიან გამოყოფილი. კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია მზიდი კედლების ვარიანტში. კედლების სისქე 70-100 სმ-ის დიაპაზონში იცვლება და ამოყვანილია წითელი აგურისაგან ქვიშა-ცემენტ-კირის ხსნარზე. განივ კედლებს შორის მანძილები შენობის ცალკეულ მონაკვეთებზე 19,0 მ-ია, ხოლო გრძივ კედლებს შორის მანძილები 8,0-10,0 მ, რაც აღემატება სეისმური ნორმებით დასაშვებ ზომებს. სართულშუა გადახურვა ცალკეულ მონაკვეთებზე ხისაა, ხოლო ნაწილობრივ მოწყობილია ბეტონის მონოლითური ფილით, ლითონის ძირითად და დამხმარე ორტესებრ კოჭებზე. სახურავი ოთხქანობიანია, თუნუქის ბურულით ხის ნივნივებზე. (ფოტო 1, 2, 3, 4)

დღევანდელი მდგომარეობით ქ. თბილისში კოტე აფხაზის ქ. #29-ში მდებარე შენობის სარდაფში კედლებიდან ჟონავს წყალი და სარდაფის იატაკში გაყვანილია არხი. სარდაფის იატაკი და კედლები დანესტიანებულია. ტორსულ კედლებზე წარმოქმნილია ვერტიკალური ბზარი გახსნილობით 50 მმ-მდე. სართულშუა ლითონის კოჭები კოროზირებულია. (ფოტო 5, 6, 7, 8) პირველ სართულზე კედლები ძირითადად მოპირკეთებულია და დაზიანებები არ შეინიშნება, ხოლო გადახურვის მონოლითური ბეტონის ფილები დაზიანებულია, ჩამოღუნულია და მოცილებულია კედლებს (ფოტო 9, 10) მეორე სართულის კედლებზე განვითარებულია მრავალი სხვადასხვა მიმართულების ბზარი გახსნილობით ბეწვისებურიდან 30 მმ-მდე. (ფოტო 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18) მოგვიანებით მიშენებულ ტორსულ ნაწილში წარმოქმნილია 200 მმ-მდე გახსნილობის ნაპრალი. (ფოტო 19) სართულშუა გადახურვის ფილები დაზიანებულია, ხოლო რამდენიმე მონაკვეთზე ჩამონგრეულია. (ფოტო 20, 21, 22) მესამე სართულზეც ანალოგიური სიტუაციაა. კედლებზე განვითარებულია ბეწვისებურიდან 50 მმ-მდე გახსნილობის ბზარები, ხოლო ტორსულ ნაწილში წარმოქმნილია ვერტიკალური ნაპრალი გახსნილობით 250 მმ-მდე. აღნიშნულ მონაკვეთში გადახურვის ფილა ჩამონგრეულია. (ფოტო 23, 24, 25, 26, 27) ცალკეულ მონაკვეთებზე გადახურვის ფილები დაძრულია საყრდენებიდან და დასაშვებზე მეტად ჩამოღუნულია. (ფოტო 28, 29) ასევე ჩამოღუნულია ლითონის ძირითადი კოჭები. (ფოტო 30, 31) იატაკები დახრილია და შეიგრძნობა მერხეობა. ხის იატაკი და სახურავის ხის ნივნივები დაზიანებულია მპალით, (ფოტო 32) ცალკეულ მონაკვეთებზე იატაკი ჩატეხილია. ფასადზე მეორე და მესამე სართულის დონეზე წარმოქმნილია დახრილი და ვერტიკალური ბზარები გახსნილობით ბეწვისებურიდან 20 მმ-მდე. (ფოტო 33, 34, 35, 36, 37) პარაპეტზე წარმოქმნილია დახრილი და ვერტიკალური ბზარები. (ფოტო 38, 39) არსებობს ფასადიდან მოპირკეთების ელემენტების ჩამოვარდნის საშიშროება და აუცილებელია მისი დროული დემონტაჟი. (ფოტო 40) შენობაზე ადრეულ წლებში ჩატარებულია გაძლიერებითი სამუშაოები, კედლები ურთიერთ მოჭიმულია და ცალკეული მონაკვეთები მოჩარჩოებულია. (ფოტო 33) შენობის კედლებში ხსნარი გამოტუტულია და ხელით შეხებისას იშლება.

ამრიგად, ქ. თბილისში კოტე აფხაზის ქ. #29-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. მზიდ კედლებში განვითარებული დეფორმაციები მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, შეესაბამება ძირითადად III-IV ხარისხს (საშუალო-მძიმე კონსტრუქციული დაზიანება) აღნიშნული დაზიანებები საფრთხის შემცველია. კაპიტალურობის ჯგუფის მიხედვით ასეთი ტიპის შენობები მიეკუთვნება II კლასს და მათი გამოსადეგობის ვადა შეადგენს 125 წელს, რომელიც პრაქტიკულად ამოწურულია. შენობაზე განვითარებული დაზიანებები გამოწვეულია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით, ასაკობრივი ცვეთით და საძირკვლების არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით. შენობა იმყოფება დაძაბულ დეფორმირებულ წონასწორობაში და სეისმური ძვრის შემთხვევაში მოსალოდნელია დეფორმაციების პროგრესირება და ცალკეული მონაკვეთების ჩამონგრევა. არარეგულაროობიდან გამომდინარე შენობის სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია. მისი შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის აუცილებელია მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, საძირკვლებისა და კედლების გაძლიერება გარსაკრში ჩასმით, ხისა და მონოლითური ბეტონის სართულშუა გადახურვების სრული შეცვლა, გადაგეგმარება და შენობის სეისმომედეგობის გარკვეული დონით გაზრდა დამატებითი კედლებისა და რკინაბეტონის ჩარჩოების მოწყობით, რაც რენტაბელობიდან გამომდინარე არამიზანშეწონილია. შენობის ფიზიკური და მორალური ცვეთა აღემატება 70%-ს. მისი

000048516

ექსპერტის დასკვნა № 000048516

აღდგენა-გაძლიერება მიზანშეწონილი არ არის და უნდა განხორციელდეს მისი სრული დემონტაჟი, შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003
2. სწწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
3. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.
4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

000048516

ექსპერტის დასკვნა № 000048516

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29



ფოტო 30

000048516



ფოტო 31



ფოტო 32



ფოტო 33



ფოტო 34



ფოტო 35



ფოტო 36

000048516



ფოტო 37



ფოტო 38

000048516



ფოტო 39



ფოტო 40